შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

2021 წლის ანგარიში

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) თავის საქმიანობას ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესაბამისად.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა 2021 წელს წარიმართა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი „სპექტრი“ გამოიცემა 2017 წლიდან. 2019 წლიდან ჟურნალის სტრუქტურა თვისობრივად შეიცვალა, იგი გახდა მრავალპროფილური. 2021 წელს გამოიცა ჟურნალის მე-4 და მე-5 ნომერი. ჟურნალში ძირითადად იბეჭდება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტურის სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომები. პუბლიკაციებს აფინანსებს უნივერსიტეტი, რაც მნიშვნელოვანი ხელშეწყობაა ავტორებისათვის და ამავე დროს, ხელს უწყობს მეცნიერების განვითარებას უნივერსიტეტში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 3/5/2021 N 268061 გადაწყვეტილებით შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია;

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 3/5/2021 N 268094 გადაწყვეტილებით შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია;

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 7/20/2021 N 728035 გადაწყვეტილებით შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 11/24/2021 N1261876 გადაწყვეტილებით შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 11/16/2021 N 1233703 გადაწყვეტილებით შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 11/16/2021 N 1233704 გადაწყვეტილებით შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია
4 ივნისს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში ჩატარდა სტუდენტთა XXVIII სამეცნიერო კონფერენცია.

2021 წელს უნივერსიტეტმა მონაწილეობა მიიღო გაზაფხულის და შემოდგომის სემესტრებში გამოცხადებული მობილობის პროცესებში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩართული იყო უნივერსიტეტში მობილობის მსურველთა სხვა უსდ საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მოპოვებული კრედიტების აღიარების პროცედურებში.

გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმები შემდეგ ორგანიზაციებთან:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი
2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
3. University of lodz, Poland
4. University Cillege of Tourism and Ecology
5. შპს ფანი თრეველ ჯორჯია
6. სასტუმრო ჯორჯიან ჰოლიდეი

8 ნოემბერს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა აკადემიური პერსონალის შეხვედრა „McGraw Hill Education"-ის საქართველოს წარმომადგენელთან - ერდენერ ბარანთან. დამსწე საზოგადოება გაეცნო სწავლების თანამედროვე პლატფორმას -„ McGraw Hill Education Connect ", მის შესაძლებლობებს და უნივერსიტეტის სასწავლო კურსების აღნიშნულ პლატფორმაში ინტეგრაციის პერსპექტივებს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა საბაკალავრო, ერთსაფეხურიანი, სამაგისტრო, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შიდა საუნივერსიტეტო მონიტორინგი, რაც ითვალისწინებდა პროგრამებისა და სასწავლო კურსების შეფასებას, ტექნიკურ ექსპერტიზასა და ხარვეზების დადგენის შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავებას.
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდი შეივსო როგორც ბეჭდური, ასევე, ციფრული ერთეულისგან. ფონდის უდიდესი ნაწილი წარმოადგენს სასწავლო სახელმძღვანელოს და შეესაბამება პროგრამებისა და სილაბუსებით გათვალისწინებულ სახელმძღვანელო რესურსებს.
სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსების განხორციელების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის წარმართვის, შუალედური და დასკვნითი გამოცდების, საგანმანათლებლო პროგრამების შიდა საუნივერსიტეტო მონიტორინგი.
განხორციელდა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი.
გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა.

ჩატარდა სტუდენტთა ინიციატივების მხარდაჭერის, ბიბლიოთეკაში არსებული გარემოს და რესურსების და სხვ. კვლევის მიზნით.

გაიმართა შეხვედრები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან მათი საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის კუთხით.

გაკეთდა კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების, სწავლების შემდეგ საფეხურზე ჩარიცხულ კურსდამთავრებულთა მაჩვენებლების ანალიზი.

ჩატარებული შემოწმებების, სასწავლო პროცესის მონიტორინგის და სტუდენტების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის ინტერვიუირების შედეგების საფუძველზე, მთელ რიგ სასწავლო კურსებში შეიცვალა შუალედური გამოცდების რაოდენობა; დაიხვეწა სტუდენტთა შეფასების მეთოდები. განახლდა ლიტერატურა.

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო - კვლევითი აქტივობის ანალიზის დროს შეფასდა აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ გამოცემული სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის ნაშრომები, კონფერენციებში მონაწილეობა, ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებსა და კონფერენციაში "საქართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების სისტემა-გამოწვევები და პერსპექტივები ".

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში წარსადგენად მომზადდა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარები.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში წარსადგენად მომზადდა (საბაკალავრო, ერთსაფეხურიანი, სამაგისტრო, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების 2021 წლის აკრედიტაციის თვითშეფასების ყოველწლიური ანგარიშები;

მომზადდა უნივერსიტეტის ავტორიზაციის ყოველწლიური თვითშეფასების წლიური ანგარიში.